ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 113–ე მუხლის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ.№70–ში მდებარე უძრავი ქონების (ყოფილი „აგრარული ბაზარი“) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.22.038) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“ -ს დაფუძნების თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“. დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტითა და 124–ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციით, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია გამგებელის გადაწყვეტილებით შესაბამისი საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ბაზაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების თაობაზე.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა